№ 150 ივლისი 12, შაბათი 1886 ივლისი 12 შაბათი, № 150

ივერია

გაზეთი ღირს:

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვ. ს საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ტფილისი, 11 ივლისი

წინად მოგახსენეთ, რომ ბ-ნი ყიფიანი 1884 წელს გორის თავად-აზნაურთა კრების წინაშე ამტკიცებდა:

„Такъ какъ банкъ могъ производить операція *вдесятеро* больше основнаго капитала, (т. е. 240,000 руб.), то ежегодное по этимъ операціямъ приращеніе можно было ожидать свыше 100,000 руб.“

იქნება გეგონოთ, რომ ბ-ნს ყიფიანს მართლა სჯერა ეს თავისი ნათქვამი!... არა, ერთი დრო არც ამ ნათქვამს შერჩენია. ერთს დროს ბ-ნი ყიფიანი სწორედ ამავ საგანზედ სულ სხვას ამბობდა და აი რასა:

„Размѣръ выпуска (или, что тоже, размѣръ операцій) *никогда* не превзойдетъ *тройнаго* размѣра банковой наличности (т. е. основнаго капитала) [1])... Еслибъ операціи банка приходилось ограничить исключительно, или хоть главнѣйшимъ образомъ операціею долгосрочныхъ ссудъ подъ залогъ недвижимыхъ имѣній,—то доходъ отъ нея едвали могъ покрыть расходы на самое содержаніе банка [2]).

ამ სახით გამოდის, რომ როცა ბანკის საქმე ბ-ნ ყიფიანის ხელში იყო, მაშინ „размѣръ операціи банка никогда не превзойдетъ тройнаго размѣра основнаго капитала“ და როცა მის ხელთ აღარ არის, ‹банкъ могъ производить операціи *вдесятеро* больше основнаго капитала›. მეორე ის გამოდის, რომ როცა ბანკი მის ხელთ იყო, эта операція едва-ли могла покрыть расходы на самое содержаніе банка და როცა მის ხელთ აღარ არის, — „ежегодное по этой операціи приращеніе можно было ожидать свыше 100,000 руб.“.

ჩვენ ეს აქ იმიტომ კი არ მოვიყვანეთ, რომ ან ერთისა და ან მეორე აზრის საბუთიანობა გაგვესინჯა. ეგ დღეს მეტია, იმიტომ რომ დღეს ბ-ნი ყიფიანი არც ერთს ამას აღარ იმეორებს, თავი დაანება. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვეჩვენებინა ნიმუში იმისი თუ,—როგორ იცვლება ერთისა და იმავე საგნის არსება, როცა ‹მე› და „შენ“ ადამიანისა საქმეში ჩაერევა და თვითონ საქმე კი განზედ გაირიყება ხოლმე.

ყოველივე ეს, ღვთის მადლით, წარსულია. დღეს ბ-ნ ყიფიანს სულ სხვა დარდი აშლია ბანკის გამო. ჩვენ ეხლა დაგვრჩა გამოვიძიოთ იგი თუ,—რაზედ დადგა დღეს ბ-ნი ყიფიანი ამდენს წინა და უკან სიარულს შემდეგ. ყოველივე იგი, რაც უწინ ჰქონია ფიქრად, რითაც უკიჟინებდა და სწუნობდა ეხლანდელს ბანკსა—ყველა იგი უკვე გულიდამ ამოიღო და დღეს [3]) მარტო სამს საგანზედ მოიმაგრა ფეხი და თანაც გვპირდება, რომ ამ სამს საგანს აღარ გადავალო.

> ამ სამს მუხლზედ არისო, ბძანებს ბ-ნი ყიფიანი: ჩვენი გაცხარებული კამათობა და როგორც უნდა იყოს გაცხარებული, მე ამ სამის მუხლიდამ ვერ გამომიყვანსო.“

წინა წერილებიდამ ვიცით, რომ ბ-ნი ყიფიანი ერთობ მტკიცედ და შეურყევლად სდგას ხოლმე თავის ნათქვამზე და ამიტომაც სრულებითაც იმედი არა გვაქვს „ამ სამის მუხლიდამ იგი გამოვიყვანოთ“, ნამეტნავად რაკი გვპირდება, რომ ამ სამის მუხლიდამ აღარ გამოვალო. ჩვენც დავიჯეროთ და თვითეული იგი მუხლი ცალკ-ცალკე განვიხილოთ, რათა გავიგოთ ის სამი მუხლი რამოდენად მტკიცეა, რომ სამუდამოდ ზედ დგომას გაუძლოს და ფეხ-ქვეშ არ დადნეს შარშანდელს თოვლსავით. აი პირველი მუხლი იმ სამთაგან:

> სესხის სარგებელი ჩვენ, ფულის პატრონებს მოგვეთხოვებოდეს იმ ზომით, რა ზომითაც სახელმწიფო ბანკი სთხოვს აზნაურობას სახაზინო ფულზე“, ამბობს ბ-ნი ყიფიანი.

არ ვიცით რა გავიკვირვოთ ამ შემთხვევაში: ბ-ნ ყიფიანის მტკნარი უცოდინარობა ბანკის საქმისა, თუ იგი, რომ ერთი უშველებელი გარემოება ბანკის საქმისა თვალ-წინ გაჰპარვია. ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: ჩვენ სადაური ფულის პატრონები ვართ“? ჩვენ პატრონები ვართ მხოლოდ 240,000 მანეთისა, რომელიც ძირის ფულად არის დადებული და არას გზით სესხად არ უნდა გაიცეს, 80,000 მანეთის გარდა, რომელიც დანიშნულია მოკლე ვადიან სესხისათვის და რომელიც ბანკის დაარსების დღიდამ უკვე ეძლევათ სესხად ფულის პატრონებსა და სარგებელს იმ ზომაზედ ნაკლებაც სჯერდება ჩვენი ბანკი, რა ზომითაც სახელმწიფო ბანკი „სთხოვს აზნაურობას სახაზინო ფულზედ“. ხოლო ამას გარდა ჩვენს ბანკს ხანგრძლივის ვადით ექვს მილლიონამდე ფული სხვა აქვს გაცემული. ვისია ეს ფული? ჩვენი კი არ არის როგორც ჰგონია ბ-ნს ყიფიანს, არამედ გირავნობის ფურცლების პატრონებისაა, რომელთგანაც ბანკს ეგ მაგოდენა ფული უსესხნია სესხის გასაცემად და სარგებელს აძლევს ყოველ ექვს თთვეში. ამასაც თავი დავანებოთ, არ ცოდნა არ ცოდვააო, ნათქვამია, თუმცა კი საოცარია ეს უზარ-მაზარი გარემოება როგორ გამოეპარა თვალ-წინ ბ-ნს ყიფიანსა?..

---

[1]) Дѣло объ учрежденіи банка, часть 2-ая: „объяснительная записка“ г-на Кипіани, стр. 76-ая.

[2]) იქავ, გვერდი 71-ი. აქ ჩვენის მხრით უნდა დავუმატოთ, რომ ეხლანდელს ბანკს მაგ ოპერაციის მეტი, სხვა არა-რა ოპერაციის ნება აქვს. მოკლე ვადიანი სესხი იმოდენად უმნიშვნელოა, რომ სათქმელიც არ არის.

[3]) „ივერია“ № 136, წერილი ბ-ნ ყიფიანისა.

ახალი ამბავი

⁂ ამას წინად ჩვენის გაზეთის ახალ-ამბებში მივაქციეთ ყურადღება იმ გარემოებაზედ, რომ აფთიაქებზე რაიმე ნიხრი უნდა დაწესდესო, ზედამხედველი უნდა დაინიშნოს მათზედ, თორემ შეუძლიანთ აბაზიანს წამალში მანათი გამოართონ, ერთის წამლის მაგიერ მეორე მისცენო, და ამისი მაგალითიც გვქონდა მოყვანილი. გუშინდელს გაზეთ ‹ახალ მიმოხილვა›-ში წერილია ამის შესახებ დაბეჭდილი ექიმის ლანდსბერგისა. აი ეს წერილი:

„არა ერთხელ მიუქცევიათ ყურადღება საზოგადოებისა იმ გარემოებაზედ, რომ აფთიაქები რიგზედ ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ფასებს ერთი-ორად იღებენ, შეცდომით ამზადებენ ექიმისაგან დანიშნულს წამლებს, და ამას ხან-და-ხან სამწუხარო შედეგიც მოჰყვება ხოლმე. ამ გვარი მათი საქციელი დაუსჯელადა რჩება და ამისთანა ამბები კი თან-და-თან უფრო ხშირდება. აი საბუთი: 7 ივლისს მე რეცეპტი დაუწერე ერთს და მაკკერის აფთიაქში გავგზავნე (ვარანცოვის ძეგლის პირ-და-პირ). იქიდგან გამოტანილმა წამალმა ის მოქმედება ვერ იქონია, რომელსაც მე მოველოდი. ამ გარემოებამ დამაფიქრა, გავსინჯე და დავრწმუნდი, რომ ექვს-ნაირის მასალის ნაცვლად, რომელიც მე მქონდა დანიშნული, მარტო სამ-ნაირი შეეზავებინათ და სამი ნაწილი კი გამოეტოვებინათ. არც ძნელი იყო ამის გაგება, რადგანაც ადვილად ემჩნეოდა გემოზედ, სუნზე და სხვ. რეცეპტის კოპიოზე - კი (№ 6999) სწორედ ჩემი დანიშნული წამალი იყო აღნიშნული და ფასიც სწორედ იმდენი გამოერთმიათ, რამდენიც ჩემს მთელს წამალში ერგებოდათ და მეტიც, ე. ი. 78 კაპ. მე თვითონ გახლდით ზემოხსენებულს

ფელეტონი

უცხოთა შორის

კიდევ უცნაურს კოროლზე.—სამეფო ტახტის გაცვლა.—ჭკუაზე შეშლილი მეფე.—არა-მკითხე მქადაგებელი.—უბედური სახლობა.—ახირებული მგლოვიარობა.—სალამია თუ ვარამი.—

ბავარიის კოროლის უცნაურმა სიკვდილმა მთელი ევროპა აალაპარაკა. აი ერთ თთვეზე მეტია, რაც ეს უბედური გვირგვინოსანი ქვეყანას გამოესალმა და აქამდინ კიდევ ჟურნალ-გაზეთობაში ამაზე ლაპარაკი და ბაასი არ შეწყვეტილა. რით მიუქცევია განსვენებულს კოროლს ასეთი დიდი ყურადღება? ეგონებით, არა იმიტომ მარტო, რომ განსვენებული გვირგვინოსანი და ტახტის მფლობელი იყო! არა, იგი ყურადღებას იქცევს, როგორც კაცი, როგორც უბრალო შვილი სიკვდილისა! იგი არ იყო დაბადებული მძიმე სამეფო მოვალეობისათვის, სამეფო გვირგვინი მეტად მძიმე იყო იმ კაცისთვის, რომელსაც ათას-გვარი ბუნდოვანი, მაგრამ გულის გამტაცი აზრი უტრიალებდა თავში. წყნარი, მშვიდი, განდეგილი ცხოვრება, აღტაცებული თვისება ხასიათისა, განუსაზღვრელი ოცნება,—აი რა არგუნა მას წილად ბუნებამ, ბედმა კი სამეფო ტახტზე დასვა. და აი თითქოს განგებ, დაუკითხავად ბედმა ეს კაცი იმისთანა ადგილს ჩააყენა, სადაც არც მშვიდსა და წყნარს ცხოვრებას, არც ოცნებას ხელი სრულიად არა აქვს.

ჰსურდა თუ არა ჰსურდა, კოროლს ყოველ დღე უნდა მინისტრები მიეღო და ყურადღებით მოესმინა მათი განუწყვეტელი ლაპარაკი სახელმწიფო საქმეებზე მაშინ, როდესაც ფრინველების გალობა და ჭიკჭიკი უფრო ესიამოვნებოდა ამის ყურს, ვიდრე მინისტრების ლაპარაკი. კოროლი ძალა-უნებურად უნდა დახწრებოდა „ბალებსა“ და სალამოებზე მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ყოფნა ემძიმებოდა, სძულდა და მარტოობას ყველას ამჯობინებდა.

კოროლმა მაინც დიდ-ხანს ვერ შესძლო ბუნების წინააღმდეგობა. ბუნებამ თავისი გაიტანა, კოროლმა სახელმწიფო საქმეებზე გული აიყარა, ხელი აიღო და სრულ განდეგილ ცხოვრებას მიეცა. თუ კი კაცი ერთხელ ბუნების მიდრეკილობას, გულის წადილს სავალი გზა მისცა, მერე თავის შეკავება ძნელი-ღაა. ძნელია კაცს სამზღვარი უჩვენო და უთხრა: აი აქ უნდა შესდგე, ამას იქით წასვლა აღარ შეიძლებაო.

სწორედ ასე მოუვიდა უბედურს ბავარიის კოროლსაც. რა-კი ერთხელ მიეცა თავის თავ-შეუკავებელ ბუნებას და გატაცებულ გულის თქმასა, თავი ველარ დაიჭირა და ერთ უცნაურ საქციელს მეორე ზედ მოაყოლა. ამასთან, საუბედუროდ, გარემოებაც ხელს უწყობდა: რადგანაც მეფე იყო, სიტყვის თქმას ვერავინ უბედავდა და დროზედ ვერ შეაყენეს.

⁂

მართლა და რომ საოცარ ამბავებს მოგვითხრობენ ამ უცნაურ კოროლზე. რას არ სჩადიოდა თურმე! ჯერ ერთი სასახლე აიშენა, რომლის ბადალი მთელს ევროპაში, ვერ მოიპოვებოდა. თავის სიტურფით და მდიდრულის შემკობილობით ყველა მნახველს აკვირვებდა ეს სასახლე. 45 მილლიონი შთანთქა მარტო ამ ერთმა შენობამ. ამ სასახლეში ყველაზე შესანიშნავი საწოლი ოთახი იყო. ეს ოთახი ეკკლესიის მსგავსად იყო აშენებული, ჰერი გუმბათად ჰქონდა შეკრული. ოთახში ყოველ დღეს ძვირფას სუნნელებას აკმევდნენ. ოთახში შესვლის ნება არავისა ჰქონდა. კარის გასაღები კოროლს ყოველთვის ჯიბეში თან დაჰქონდა. თუ მოსამსახურეს მაინც და მაინც რაიმე საქმისთვის მოუხდებოდა ამ ოთახში შესვლა, სახეზე უნდა შავი პირ-ბადე ჩამოეფარებინა, რომ კოროლს ამ ოთახში კაცის სახე არ დაენახა.

კოროლს თურმე ძალიან უყვარდა ფრინველები. მთელი სასახლე ოქროს გალიებით იყო გავსებული. გალიებში უფრო ბულბულები და იადონები ისხდნენ, ან ერთობ იმისთანა ფრინველები, რომელთაც გალობა იციან. ერთს ბულბულს გამოჩენილის მომღერალის ქალის ‹ადელინა ფატის› სახელი ერქვა. საკვირველი კიდევ ის გარემოებაა, რომ ფრინველები მარტო ღამით გალობდნენ. მაინც თვითონ კოროლსაც დღე ღამედ ჰქონდა გარდაქცეული და ღამე დღედ. მთელი დღე კოროლს ეძინა და დაღამდებოდა თუ არა, მთელს სასახლეს გაანათებინებდა ხოლმე და მოუჯდებოდა თავის წიგნებს. წიგნების კითხვა ძალიან უყვარდა თურმე კოროლს და თავის სასახლეში მდიდარი ბიბლიოთეკაცა ჰქონდა. მწერლებში ყველაზე მაღლა ვიქტორ ჰუგოს აყენებდა, თითქმის მთელი ამის ნაწერები ზეპირად იცოდა. ერთხელ საფრანგეთის ელჩი ძალიან გააკვირვა კოროლმა, როდესაც ჰუგოს ნაწერებიდამ მთელი ადგილები ზეპირად უთხრა. ახალ მწერლებში ყველაზედ ძალიან საფრანგეთის მწერალი გონკური მოსწონდა. ერთი ამის ხელთ-ნაწერი რომანი 14 ათას ფრანკად იყიდა, თითონვე დააბეჭდინა, რომ არავის დაესწრო და ამ მწერალის თხზულება ყველაზე ადრე ამას წაეკითხა.

⁂

ბოლოს დროს კოროლს ყველა მოსწყინდა, ყველაფერი შესძულდა. თავის საყვარელი, ძვირფასი ბავარიაც კი გულიდამ ამოიღო, ბოლოს ფიქრობდა კიდეც, ბავარია ან სულ გაესყიდა ან სხვა სახელმწიფოზე გაეცვალა. კოროლი არა ხუმრობდა. ნამდვილს მოგვითხრობენ, ვითომ კოროლს ერთი თავისი მინისტრი ბევრს სახელმწიფოებთან კიდეც მიეგზავნოს და ამ საგანზე მოლაპარაკება ჰქონოდეს. ამბობენ, ვითომ კოროლს ყირიმიცა ჰქონოდეს სახეში და აქ ჰსდომოდეს ტახტის გადმოტანა. ცხა-

ფთეაქაში და როცა დაერწმუნე იქ მყოფნი, რომ შეცდომილან, პასუხად შემდეგი სიტყვები მიიღე: „შეცდომით მოგვივიდა, დაგვავიწყდაო“.

ამის შემდეგ ექიმი ლანდსბერგი მიაქცევს ავად-მყოფებისა და ექიმების ყურადღებას ამ გარემოებაზედ და ამბობს, რომ ასეთი ამბავი პირველი არ არის ამ აფთეაქაშიო.

⁂ ამ კვირის დასაწყისში კუკიის ხიდს ქვეშ როგორღაც ლოქო გამოერიცნა. ბევრსა ცდილან, მაგრამ მაინც ვერ დაეჭირათ. ლოქო, როგორც ეტყობოდა, ძალიან დიდი იყო, რადგანაც ექვსი-შვიდი კაცი ეწეოდა ბოლოდგან და მაინც ვერ დასძალესო.

⁂ გაზ. „ახ. მიმოხ.“ შემდეგს სასაცილო ამბავს გვიამბობს: ხომ მოგეხსენებათ, რომ დოლანოვს ნავი აქვს საკუთარი და იმით ჰშველის ხოლმე მტკვარში ჩავარდნილებს. ამას წინედ იქ მისულა ერთი ვიღაც ტანთ-საცმელ შემოძარცული და პატრონი უკითხავს. გამოსულა თავათ დოლანოვი და უკითხავს რა გნებავსო. ამ ბატონს დაბეჯითებით მიუგია, რომ მე განზრახვა მაქვს მტკვარში გადავარდნა და თავის დარჩობა და მიშველი, თუ არაო. დოლანოვს უთქვამს, გიშველი და გამოგიყვანო. მაშ რა კი ჩემი წყლიდგან გამოყვანა გწადიანო, უპასუხნია ამ ვაჟ-ბატონს, შენსა და ჩემს წვალებას, მოდი ერთი აბაზი მომეცი და აღარ გადავარდები წყალშიო. აბაზის მიღებისათანავე უცნობს სამიკიტნოსკენ გაუწევია.

⁂ ოთხშაბათს, 9 ივლისს, ღამის 11 საათზე პეტრუზ მაკაროვის სახლებს მოჰკიდებია ცეცხლი. ეს სახლი დაძველებულია, დაუსახლებელი და დავიდოვისა და ლაბორატორიის ქუჩების კუთხეში მდებარეობს. ცეცხლი დროზედ შეუტყვიათ იქვე მდგომ პოლიციელთ და თითქმის მაშინვე ჩაუქრიათ. ბანზე დამწვარი მჩერები უპოვნიათ. ცეცხლის გაქრობას ბოქაულის თავად ერისთავის კარგს განკარგულებას აწერენ. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არავინ იცის. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 8 ივლისს, ნავთლუხს ქვემოდან მტკვარს გამოურიყავს დუშეთის მაზრაში მცხოვრებელის პავლე ტაგაშვილის დამრჩვალი გვამი. ტაგაშვილი დამრჩვალა 6 ივლისს ავჭალის ზემოდან რკინის გზის ხიდის ქვეშ. დამრჩვალის გვამი მიხაილოვის სამკურნალოში გაუგზავნიათ.

⁂ ამავე რიცხვს ტფილისის მცხოვრებელი ბაგრატ მერუმოვი, დღე მივარდნია ტფილისისავე მცხოვრებელს დარჩო აკოფოვს, კალმის დანით მარჯვენა ბეჭში დაუჭრია და ახალუხის ჯიბე მოუგლეჯნია, რომელშიაც შვიდმეტი მანათი ყოფილა. მერუმოვი იქვე დაუჭერიათ პოლიციელთ.

⁂ აზრო გელაძის სიკვდილში დამნაშავენი კავკასიის გრენადერის არტილერიის ბრიგადის ჯარის-კაცნი ადამ სებენოვსკი, გრიგოლ ზანჩენკო და საველი მაიკოვი უკვე გამოტყდნენ დანაშაულში და გამომძიებლის განკარგულებით მეტეხის ციხეში არიან დამწყვდეულნი.

⁂ 10 ივლისს, პოლიციის მე-6 ნაწილში, ტფილისის მაზრის სოფ. კუმისის მცხოვრებელის არტემ აკოფოვის 8 წლის ვაჟი აკოფა მტკვარზე წყლის ამოღების დროს გაუფრთხილებლობით ჩავარდა და დაიხრჩო. დამრჩვალის გვამი ვერ უპოვნიათ.

⁂ 10 ივლისსავე, პოლიციის მე 9 ნაწილში, პოლიციის მოხელეთ ქალაქის ექიმის მრევლოვის დახმარებით გადაუყრევინებიათ 110 გაფუჭებული საზამთრო.

⁂ სოხუმიდამ ერთს საკვირველ ამბავსა გვწერენ: ამ ივლისის ორს მდ. კელასურის შესართავთან ოთხი კამეჩი შესულიყო ზღვაში გასაგრილებლად. იქვე ზღვის ნაპირას მწყემსი იჯდაო. უეცრად ერთის დიდის კამეჩისთვის რაღაც ზღვის ნადირს წაუვლია კბილი თუ ფეხი და ჩაუტანია ძირს. კამეჩს ღრიალი მოურთავს, ამის დამნახველს ბიჭსაც ბევრი უყვირნია. მაგრამ სანამ მშველელნი მოვიდოდნენ, მინამ ნადირმა კამეჩი ზღვაში ჩაიტანა და გააქროვო. ამ ამბავმა ძალიან შეაფიქრიანა სოხუმელებიო.

⁂ ბათუმიდამა გვწერენ: აქ ორად-ორი სტამბა არსებობს. ერთი ეკუთვნის ა. მახარაძეს, რომელსაც სტამბასთან ლიტოგრაფიაცა აქვს, და მეორე ვიღაც ურიას. სასიამოვნო ამბავი ის არის, რომ მახარაძეს ორი ქალი აუყვანია შეგირდად და ასოთამწყობლის ხელობა უსწავლებია. ერთს უკვე დაუსრულებია სწავლა და ახლა მეორე სტამბაში თავის თანამერჯულე ურიასთანა მუშაობს ჯამაგირით და მეორე და კი ისევ მახარაძესთან არის და ხელობასა სწავლობსო.

⁂ ფოთიდამა გვწერენ: სამს ივლისს ფოთში ერთი საზარელი ამბავი მოხდა. ერთს ურიას ზარულში ჩაუვარდა სამის წლის ყმაწვილი ქალი. თუმცა მალე ამოიყვანეს, მაგრამ ველარა უშველეს-რა, დამრჩვალიყო... ფოთში პორტო-ფრანკოს ახდის შემდეგ ყველა მაღაზიებში დადიან და დამღასა სცემენ საქონლებსა, ვაჭრებმა საქონელს ფასი მოუმატესო. . ამ ცოტას ხანში აქ—ფოთში აპირებენ სტამბის დაარსებას. სტამბის დაარსება განუზრახავთ ა. მახარაძესა და ლავრენტი ტოგუმს. ნება-რთვა უკვე მიღებული აქვთ და ამ დღეებში შეუდგებიან ამ საქმის აღსრულებაში მოყვანასაო.

⁂ ბათუმიდამ უჩივიან წიგნის მაღაზიის უქონლობას. ამოდენა ქალაქია, ქართველებიც ბევრნი არიან და ერთი წიგნის მაღაზია არა გვაქვსო, რომ გულით რაიმე ქართული წიგნი გვინდოდეს და ვიყიდოთო. ამისთანა შემთხვევაში იძულებულნი ვართ ხოლმე ტფილისიდგან დავიბაროთ წიგნებიო.

⁂ ვლადიკავკასიდამა გვწერენ: 6-ს მკათათვეს მოხდა საშინელი კაცის-კვლა სოფ. ზელგეში. აი როგორ იყო ეს ამბავი: 5 ს მკათათვეს ბებე ბორყუევს და გუდი ეთეზოვს მოსვლოდათ ლაპარაკი სათიბში. იქ კი გაეშველებინათ, მაგრამ მეორე დღეს სოფელში ხელ-ახლად დაეწყოთ ჩხუბი და ბებე ბორყუევს ხანჯალი დაეცა ყელში და ყანყრატო სულ გადაეჭრა. ეთეზოვი მაშინვე გარდაიცვალა. ეთეზოვის ძმამ დაინახა თურმე ეს ამბავი, გამოექანა, თოფი ესროლა ბორყუევს და მარჯვენა მკლავში მოახვედრა. ბორყუევიც სასიკვდილოდ არის დაჭრილიო. ამ ჩხუბის გამშველებელი სამი კაციც სხვაა დაჭრილიო. ამ საქმის გამო ბოქაული, გამომძიებელი და ექიმი აქ არიან სოფელში, მაგრამ ჯერობით ვერაფრით ვერ მოარიგეს ეს ორი გადაკიდებული გვარიო

⁂ ჩვენს გაზეთში უკვე იყო მოხსენებული, რომ სახელმწიფო ბანკის მართველობას განუზრახავს ბათუმში გახსნას თავისი განყოფილება, და მცხოვრებელთაც ძალიან უჭირდათ ეს ბანკი. ეხლა გაზ. „Новости“ სწერს, რომ ეს განყოფილება ჩქარა გაიხსნებაო და ამ ბანკის განყოფილების გამგებლად დაინიშნება ვიტებსკის ბანკის განყოფილების გამგებელიო.

⁂ ბაქოდგან მოუწერიათ, რომ როდშილდის ფირმას განუზრახავს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზე თავისი საკუთარი სამასი მატარებელი ატაროსო ნავთის გადასატანად.

⁂ გაზ „Новости“-ს სიტყვით, მომგების ბილეთების უკანასკნელ ტირაჟში ყველაზედ უპირველესი 200,000 მანათიანი მოგება რგებია ბლაგოვეშჩენის პირველის გილდის ვაჭარს ოჰანეზ მიხეილის ძეს მელქუმოვს, რომელსაც დიდი ვაჭრობა აქვს გამართული ამურზედ.

75,000 მანათიანი მოგება მოუგია ბარნაულის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგს დიმიტრი სტეფანეს ძეს ილოვსკისა.

დამაკვირდი!

კარგად მოხმარებული სიცოცხლე თავის დღეში არც მეტად გძელია ხოლმე, არც მეტად მოკლე. (ბუასტი)

—

იმას უცხოვრია საკმაოდ, ვისაც კარგად უცხოვრია. (ჰენრიხ IV)

—

შური მისდევს ხოლმე დიდს ღირსებასა და საშუალოსა-კი — ხელსაც არ ახლებს. (ლევი)

—

მნელი არის მარტოობა სულისა, —
მას ელტვიან სიამენი სოფლისა.
(თ ნ. ბარათაშვილი)

—

არ ასცილდების დაცემა
უფრთხილოდ გზაზედ მარებსა,
უზომოდ ბევრის მჭამელსა
სიმძღრით გულს დასმმარებსა.
(დავ. გურამიშვილი)

—

ჭირში გატეხა არ გარგა,
თუ კაცი გონიერია:
წავა და ყველგან დარჩება,
სოფელი ღონიერია. (გლეხური სიმღერა)

—

თუ სე ბუნებით მწარეა,
ანგელოზთ მიაბარეა,
წაიღოს, ედემს დანერგოს,
სად სულნელების არეა,
ტიგრისის წყალით მოჰრწყვიდეს—
რომ ტურფად მომდინარეა,—
ნაყოფი მოგცეს, ისმიო,
მაინც აგრედვე მწარეა. (ალექ. ჭავჭავაძე)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთის ვაჭრები, ფაბრიკანტები და მექარხნეები სჩივიან და სტირიან და სულ ერთსა და იმავეს გაიძახიან: ჩვენი საქმეები ცუდად მიდის, უცხოეთი ყველაში ხელს გვიშლის, მთავრობა უნდა მოგვეშველოსო. მთავრობაც ცდილობს, ყოველ გვარ საშუალებასა ხმარობს, რომ რუსეთის მრეწველობასა და ალებ-მიცემობას რაიმე შველა მისცეს.

კავკაზის „ტრანზიტი“ გაუქმდაო, ამბობს გაზეთი „Русскія Вѣдомости“, ფილიანდიის საქონელზე ბაჟია დადებულიო; ამ ათის წლის განმავლობაში ეს თითქმის მეხუთედ უმატებენ ბაჟს სამზღვარგარეთიდამ შემოტანილს სპილენძეულობას, რკინეულობას და ქვის ნაშხარსაო. ჩვენ მრეწველობას და ალებ-მიცემობას ამანაც ვერა უშველა-რაო, გაჭირვებიდამ ვერ დაიხსნა,—პირ-იქით ჩვენი საქმეები უფრო დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდაო.

დია, რომ საქმე ვერსად ვერ მოახერხა, ამის ახირებულ და უცნაურ სურვილს ყური არავინ ათხოვა. კოროლს ეს ძალიან სწყინდა თურმე.

კოროლს მთვარიანი ღამეები მოსწონდა ძალიან. მთვარის ნაზი, მკრთალი სინათლე უნებლიედ იზიდავდა მის გულსა და მთელ საათობით ჩაფიქრებული თვალს არ აშორებდა ხოლმე. ხშირად ნატრობდა თურმე: ნეტავი კამკამ სხივებით მოფენილს მთვარეზე ამიყვანა, რომ იქიდამ კაშკაშა ვარსკვლავებით მოფენილს ცა და დედა-მიწა მოეჩხრიკაო. ვინ იცის, იქნება სხვა განზრახვაცა ჰქონდა! იქნება იმედი ჰქონდა, რომ მთვარეზე მაინც ვიპოვნი იმისთანა სახელმწიფოს, რომელსაც ჩემს ბავარიაზე გამიცვლიანო. მაგრამ ვერც ეს ნატვრა აუსრულდა, მთვარეზე მოგზაურობა ვერ მოუხდა, რადგანაც ჯერ გზა არ არის გაყვანილი. ვერა ოცნება კაცს ამაზე შორს ველარ გაიტაცებს. და აი საწყალის, გატაცებულის კოროლის აღშფოთებული გული და ამღვრეული ტვინი შარტრის ტბაში დასცხრა და სამუდამოდ დაწყნარდა!..

⁂

„ვაის გაეყარე და ვუის შეეყარეო“,—სწორედ ასე მოსდით საწყალ ბავარიელებს. უბედურს ბავარიის კოროლს უბედური მემკვიდრე დარჩა. ბავარიის ტახტზე განსვენებულის ლუდვიგის ძმა, ოტტონი I ავიდა. ოტტონიც პატარაობისას დიდს იმედებს იძლეოდა. ბავარიელები სიხარულით არ იყვნენ, როდესაც ნიჭიერ და სიცოცხლით სავსე პატარა კოროლს უყურებდნენ. ოტტონმა სწავლაშიაც დიდი ნიჭი გამოიჩინა. უნივერსიტეტში უკეთესს პროფესორებს უგდებდა ყურსა. პროფესორებს ხშირად ჩამოუგდებდა ხოლმე ლაპარაკს რაიმე საგანზე და ძალიანაც აკვირვებდა თავის გონების გამჭრიახობით, დამჯდარის მსჯელობით და ბევრის ნაკითხაობით.

ოტტონსაც ძმასავით პოეზია და თეატრი გატაცებით უყვარდა. მხოლოდ ერთში არა ჰგავნდა ოტტონი თავის განსვენებულს ძმასა. განსვენებულს ქალები თვალის დასანახავად სძულდა, ოტტონი კი მათი ერთგული მონა იყო. ქალებმა გაიტაცეს ახალ გაზდა კოროლი, და ესეც თავდავიწყებით აჰყვა მათთან დროს გატარებასა და სიამოვნებას. ბოლოს შესდგა, მაგრამ გვიან-ღა იყო,—გატაცებამ თავისი ნიშანი დასდო. ოტტონი ისეც სუსტის აგებულობისა იყო, და გადაჭარბებულმა ტრფიალებამ ხომ სრულიად შეარყია მისი ჯანის სიმრთელე.

ოცის წლისა იყო ოტტონი, როდესაც ისეთის ავად-მყოფობის ნიშნები აღმოაჩნდა, რომ ბავარიელები ძალიან დააფიქრა. მაგრამ იმედი კიდევ მაინც არ დაუკარგავთ, ჰფიქრობდნენ ახალ-გაზდაა და ამ ავად-მყოფობას აიტანსო. ბოლოს კი ერთმა გარემოებამ სრულიად დაარწმუნა, რომ კოროლი ოტტონი ჭკუაზე შეშლილიყო.

ერთს დიდს დღესასწაულს დღეს მიუნხენის ტაძარში დიდ-ძალი ხალხი იყო შეკრებილი. ამ დღეს ეპისკოპოსი მთელის მიუნხენის სამღვდელოებით მწირველი იყო. შუა წირვა იქნებოდა, როდესაც ოტტონი აღტაცებულის სახით ეკკლესიაში შემოვიდა, ხალხი გაარღვია, ამბიონზე ავიდა და მაღალის ხმით ქადაგება დაიწყო. არა-მკითხე მქადაგებელი ძლივს ჩამოიყვანეს ამბიონიდამ და სასახლეში მიაბძანეს.

ამ დღიდამ გადასწყვიტეს, ოტტონი მიუნხენიდამ მოეშორებინათ და შორს რომელსამე ციხე-გალავანში დაებინავებინათ. ერთს დილას ოტტონის სასახლეს ცხენოსანი ჯარი მიადგა, რომ კოროლი ახალს სადგურში გაეცილებინათ. მუსიკის ხმამ ოტტონი გამოაღვიძა. ოტტონმა იგრძნო, რომ აქ რაღაცა ამბავიაო, წამოხტა ლოგინიდამ, მიირბინა ფანჯარასთან და, რა დაინახა, რომ სასახლეს ჯარი არტყიაო, ფანჯარა გააღო და ხმა-მაღლა დაიყვირა: «ჯარნო, მომეშველენით!. თქვენი ხელმწიფე ვარ, თქვენი ხელმწიფის დაჭერა უნდათ!»

ჯარი გაშტერდა და არ იცოდა, რა ექმნა.

ამ დროს რამდენიმე მოსამსახურე მოვიდა და შეშინებული კოროლი ფანჯარას მოაშორეს. კოროლი მაინც თავისას არ იშლიდა და ყვიროდა: „მიშველეთ, თქვენის კოროლის მოკვლა უნდათო!“

კოროლი როგორც იყო დაამშვიდეს და გზას გაუყენეს. ოტტონი თავის ახალს საცხოვრებელს ადგილს ჩქარა შეეჩვია, თავისთვის გულ-არხეინად სცხოვრებდა და მხოლოდ ხანდისხან ცას გაუშტერებდა თვალსა და ვარსკვლავებსა სთვლიდა ხოლმე.

გაიარა კარგა ხანმა. ოტტონს მიუნხენი კიდეც გადაავიწყდა. მაგრამ სრულიად მოულოდნელად ოტტონმა ერთს მშვენიერს დღეს მიუნხენის სასახლეში კი ამოყო თავი. ეს ისევე ამის დაუკითხველად მოხდა, როგორც მიუნხენიდამ წაყვანაზე ამას არავინ დაჰკითხებია.

მიუნხენის სასახლის ტახტის დარბაზში მინისტრების და ბავარიის წარჩინებულნი დიდ-კაცობა იყო შეკრებილი. ოტტონი გამოიყვანეს: პირველად ცოტად შეკრთა, მაგრამ როდესაც ყველამ მოწიწებით თავი დაუკრეს, ცოტა არ იყოს გული მოეცა. ერთმა მინისტრმა ლაპარაკი დაიწყო. ოტტონი ჩაფიქრებული იდგა და თითქო ყურადღებით ისმენდა, რასაც ეუბნებოდნენ. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს უფრო ფერად-ფერადის ტანისამოსით და ზიზილ-პიპილებით იყო გართული. მაგრამ, როდესაც ყველა აქ დამწრემ კოროლობა მიულოცა, ერთგული ქვეშევრდომობა შეჰფიცა და სიტყვა: „თქვენო დიდებულებავ!“ ოტტონის ყურს მოესმა, ოტტონს მხიარულება შეეტყო.

ეს სიტყვა ისე ეამა საბრალო კოროლს, რომ რამდენსამე დღეს მოსვენებას აღარ აძლევდა თავის კარის

განა რუსის ვაჭრები და ფაბრიკანტები დაუფიქრდნენ ამ გარემოებასა? არა, აქაც კიდევ

> რად აძლევს მთავრობა ნებას, რომ უცხო ქვეყნების რელსები ურალზე შემოაქვთო, იმ ურალზე, რომელიც რკინის წარმოების ბოლაზად ითვლებაო. რად აძლევენ ნებას, რომ პოლშა თავის რკინეულობით ხელს უშლის ურალის რკინის მწარმოებლებს და ჩითეულობით—მოსკოვისა და ივანოვის ფაბრიკანტებსაო.

მთავრობამ ესეც შეიწყნარა, შემწეობა აღმოუჩინა დაჩაგრულს რუსეთის მრეწველებს. თვითონ მრეწველებმა რაღა გააკეთეს, ხელი გაძრეს, საქმეს მოუარეს? სრულიადაც არა: ამათ მარტო ის იხმარეს, რომ ბაჟის შემოსავალი და ხელის გასამართავად ხაზინიდამ გამოსული ფული ჯიბეში ჩაიდეს და თავისთვის არხეინად დასხდნენ.

> დაპირებით კი ვინ იცის, რას არ გვპირდებოდნენო, ამბობს იგივე გაზეთი. მთავრობამ ოღონდ შემწეობა აღმოგვიჩინოს და საქმეებისა ჩვენ ვიცითო. დედა მიწაში აუარებელი სიმდიდრეა ჩამარხული და აი გვპირდებოდნენ, რომ ამ სიმდიდრეს მიწიდამ ჩვენ ამოვიღებთო. მთავრობამ დონის რკინის გზა გამართა, რომ ქვის ნახშირი ამოეღოთ. დაიწყეს მუშაობა და მაშინვე ჩივილს მოჰყვნენ: ბაჟი დაადეთ უცხოეთის ნახშირსა, თორემ ვზარალობთ, ვიღუპებითო. გაიყვანეს ეკატერინის რკინის გზა სამხრეთ რუსეთში, სადაც აუარებელი რკინის მადნებია. აქაც ჩვენებმა ვერა გააწყეს-რაო, და ისევ უცხო ქვეყნელებს ჩაუვარდათ ხელში ეს საქმეცაო.

აქედამაც არა გამოვიდა რა. მაგრამ რუსეთის მრეწველები ძალიან მოხერხებული ხალხი ყოფილან. კავკაზის „ტრანზიტს“ და ფინლანდიას ხომ ბოლო მოუღეს,—ახლა ისევ კიდევ პოლშას დაუბრუნდნენ.

> პოლშის ფაბრიკებს და ქარხნებს ცოტა ხარჯი ადევთ, უნდა გარდასახადი მოუმატოთო. გარდა ამისა პოლშის ფაბრიკანტებს და მექარხნეებს უნდა ვალად დაედოთო, რომ რუსის ტეხნიკები და მუშები ჰყვანდეთ, უცხოელების ნაცვლადაო. პოლშა ყველა ამას დასთანხმდა. რასაკვირველია, სამართალი მოითხოვს, რომ რუსის ფაბრიკანტები და მექარხნეები ასე მოიქცნენ და უცხო ტეხნიკები დაითხოვონო.

რა ჰსურთ ჩვენ ფაბრიკანტებსა და მექარხნებსაო, ამბობს კიდევ გაზეთი. ვინა ჰყავთ სახეში, ვისზედ ჰზრუნავენ? მითომ მუშა ხალხის და საზოგადო სამშობლო მრეწველობის ინტერესები აქვთ სახეში?

> თუ ეს ასეაო, განაგრძობს გაზეთი, მაშ განა სულ ერთი არ არის, ვინ დაატრიალებს ჩვენში ფულსა, რუსი თუ უცხო ქვეყნელი? არა, ჩვენთვის სახეირო არ იქნებაო, ამბობენ რუსის ფულის პატრონები, რომ მოგება და ხეირი კოკერილმა ნახოს, თუმც ამ კოკერილმა კარგი საქმეც დაიწყოს და ბევრს მუშა ხალხს საქმე აღმოუჩინოსო. სრულიად სხვა არისო, როდესაც ფული დემიდოვებისა და იაკოვლევის ჯიბეში ჩადისო. ჩვენ დიდის სიამოვნებით 2 მანათს მივსცემთ ერთს ფუთს რკინაში, ათის შაურის მაგიერ, თუ ეს რკინა ურალზეა მომზადებულიო.

ვინ იდარდებს თუ ამავე დროს ურალის მექარხნეები არხეინად ძილს ეძლევიან და ფულს კი გაუსჯელად ჯიბეში ალაგებენ. რა უშავს, ისევ უცხოელები მოვლენ, ისინი დაიწყებენ ახალს რამე საქმეს და ჩვენც იმათ მივყვებითო. თუ ვერა გავაწყეთ-რა იმათთანა, მთავრობას მივმართავთ და შემწეობასა ვთხოვთო.

აბა როგორ არ აყვავდება ჩვენი სამშობლო მრეწველობაო, ათავებს გაზეთი თავის წერილსა, როდესაც საქმის მოთავედ ამისთანა მხნე ხალხი გვყავსო!

⁂

გაზეთი „Современныя Извѣстія“ გრაფ ტოლსტოის „ქადაქს“ უწოდებს, თუმცა ამ „ბრწყინვალე ქადაგს“ და ჭეშმარიტს ქადაგს შორის დიდს განსხვავებასაც ჰხედავს“.

> ჭეშმარიტი ქადაგი ძაძებს იცვამს და სრულიად უარსა-ჰყოფს ამა სოფლის სიკეთისა და სიმდიდრის მოხვეჭასა; გრაფ ტოლსტოი კი თუმცა ტყაპუჭის ჩაცმასაც არა ჰზიზღობს, მაგრამ არც ძვირფასს ქურქს იწუნებს; ფეხით დადის და შუშასა სჭრის, მაგრამ ხშირად გათქვირებულის ცხენებითაც დააჭენებს ხოლმეო; საჭმელს ოქროსა და ვერცხლზე მიირთმევს და თუმცა მოსკოვის დღიურის აღწერის დროს მდიდრებს ურჩევდა თავიანთი ქონება გლახაკებისთვის გაეცათ, მაგრამ ამავე დროს თითონ მოსკოვში კარგი სახლი შეიძინაო. გრაფი გატაცებით თამაშობდა ქალალდს იმ დროს, როდესაც ცხოვრების თეორიას ადგენდა და თავის სახარებასა სთხზავდაო.

ამ დღეებში გაზეთები მოგვითხრობდნენ ერთს ამბავს, რომელიც უფრო კიდევ ცხადად გვიმტკიცებს გრაფ ტოლსტოის «უანგარობას».

> გრაფს თავისი ნაწერები 56 ათას მანეთად გაუყიდნია. მართალიაო, ამბობს გაზეთი, თვითონ გრაფი ამ საქმეებში არ ერევა და მთელი თავის ქონება ცოლშვილს გადასცა, აგრეთვე ამისი ცოლშვილი იღებს იმ ფულსაც ანუ ბოროტებასა (ფული, ტოლსტოის აზრით, ბოროტებაა), რომელიც ამის ნაწერებს შემოაქვთო,—მაგრამ ეს მაინც გრაფს არ ამართლებსო. ამ შემთხვევაში ახალის სარწმუნოების მქადაგებელი განზრახ გაკოტრებულს კაცს მოგვაგონებსო. ესენიც სწორედ ასე სჩადიან: მთელს თავის შეძლებას ცოლის სახელზე გადიტანენ და მერე თავის მოვალეებს გულ-არხეინად ეუბნებიან: „რა ვქნა, მე ჩემი საკუთრება არა მაქვს-რაო!“

ეტყობა კეთილის ქმნა სიტყვით უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე საქმით!

რუსეთი

ქალაქ ბელგოროდს 18 წლის ყმაწვილს ნესტეროვს თავი მოუკლავს უიმედო სიყვარულის გამოვო. ამ ამბავმა მთელი ქალაქი აალაპარაკავო. მიცვალებული ყმაწვილი ამბობდა თურმე, რომ მე ფილოსოფიურის თვალით ვუცქერი ცხოვრებასა და სიცოცხლესაო. ამიტომ ღვინისა და ქალების ამყოლი იყო თურმე. მისი უიმედო სიყვარული შარშან ზამთარს დაიწყოვო, როცა მის სატრფიალო ქალს საზოგადოებაში გამოყვანა დაუწყესო. წარსულს ზამთარს დიდის გაჭირებით ინახულებდა ხოლმე ახალ-გაზდა კაცი თავის სატრფოსაო. დიდს ხანს თურმე დადიოდა იმ სახლის გვერდზედ, სადაც იდგა საყვარელი ქალი. მაგრამ აი დადგა ზაფხულიო, დაიწყო სატანცაო საღამოები აქაურს კლუბშიო და ნესტეროვს უფრო-და-უფრო გაუძლიერდა სიყვარულიო. მაგრამ დიდხანს არ გასტანა ყმაწვილის კაცის შფოთვამა: საყვარელმა გასათხოვარმა ქალმა გამოუცხადა უკანასკნელს საღამოზედ, რომ მომშორდი, თავი ნუ მომაბეზრეო. ნესტეროვი მაშინვე გამოვიდა სატანცაო დარბაზიდგან და რევოლვერით მსწრაფლ მოისპო სიცოცხლეო.

— ამერიკაშიაც შემოსულან მოდაში რუსეთის გამოჩენილი მწერლები. გრაფ. ტოლტოის წიგნი «Война и миръ» ამას წინადაც ყოფილა გადათარგმნილი და დაბეჭდილი ამერიკაში და ეხლა კიდევ უნდათ ხელმეორედ დაბეჭდონ და იაფ ფასადა ჰყიდონო. ამას გარდა ერთ წიგნების მბეჭდავს ფირმას განუზრახავს გოგოლის თხზულებანი გადათარგმნოს ხელახლად ინგლისურად და დაბეჭდვინოს ამერიკელებისათვისაო. პირველ წიგნად იქმნება დაბეჭდილი გოგოლის მოთხრობა „Тарасъ Бульба“.

— გამოჩენილს რუსეთის მოგზაურს მიკლუხა-მაკლაის 300-ზე მეტის კაცისაგან მისვლია წერილი და სთხოვენ, რომ ახალ-გვინეის კუნძულზე ჩვენც წამოგვყვებით რუსეთის ახალშენის გასაშენებლად და იქ დასაბინავებლადაო.

მიკლუხა-მაკლაი სწერს ყველა ამათ, რომ ამ ერთს თთვეზე მზად იქნება წესდება, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს საქმეო და მაშინ ყველას შეგატყობინებთ ამ საქმის გარემოებას გაზეთების საშუალებითაო.

— ერთს უსწავლელს რუსს მოუგონია სრულიად ახალის მოწყობილობის თვით-მომქმედი საქსოვი და მოდელიც გაუკეთებია. ეს მოდელი უნახავს ერთს ინგლისელს, მცირე ოდენი ფასი მიუცია უსწავლელისათვის და უთქვამს, რომ მაგ შენის მოგონილის საქსოვის გაკეთების ნება მე მომყიდეო. რუსსაც მიუყიდნია და ეხლა ინგლისელს დიდ ფასად გაუსყიდნია იაფ-ფასად ნაყიდი ნება საქსოვის გამოყენებისა ინგლისშიო.

— მთავარ-სამმართველო ფოსტებისა აცხადებს, რომ საზღვარ-გარეთიდამ გამოგზავნა რუსეთს წერილებით ისეთის ნივთებისა, რომლისათვისაც ბაჟის გადახდაა საჭირო, აღკრძალულია და ვინც გამოგზავნის, ნივთი სახაზინოდ შეირიცხებაო. ამ გვარის ნივთების გზავნა შეიძლება მხოლოდ ცალკე გაკერილ პარკებითაო.

უცხოეთი

საფრანგეთი. არმანტიერში, რომელიც ჩრდილოეთს დეპარტამენტშია, ჰოლდე-კასსანიაკს,—ამ გამოჩენილს აბეზარს კაცს ბონაპარტიელთა დასისას,—წარმოუთქვამს ცხარე სიტყვა, გაუკიცხავს საფრანგეთის რესპუბლიკა და რჩევა მიუცია კონსერვატორებისათვის, რომ შეერთდნენ რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველადაო. როდესაც კასსანიაკს სიტყვა გაუთავებია და დარბაზიდამ გამოსულა, რესპუბლიკელები დასცემიან. იმ დროს, როდესაც კასსანიაკს მეგობრები ტაშს უკრავდნენ და ქებას უძღვნიდნენ, რესპუბლიკელები ყვიროდნენ: დაიკარგოს კასსანიაკიო! და დაუწყეს ქვის სროლა; იგი იძულებული იყო თავის თავზე ეზრუნა, იკადრა გაქცევა და თავი შეაფარა მასლობელს სახლში. აყალ-მაყალი ჩამოვარდა; ერთმანეთს დამბაჩებიც ესროლესო. საქმეში ჟანდარმი ჩაერია, მაგრამ წესიერება ვერ აღადგინა. ერთი ჟანდარმი ხელში დასჭრეს. დეპეშით დაიბარეს ჯარი, მაგრამ მინამ არმანტიერში მოვიდოდა, ხალხი დაიშალა და სრული მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ხუთი კაცია დაჭერილიო.

— თუმცა გრაფი პარიჟელი ხელ-მოჭერილი კაციაო, მაინც დიდი ფული მიუცია თავის მომხრე დასისათვის, იქნება-გეთ, რომ არჩევანებზე გავიმარჯვოთო. საზოგადოდ გრაფი პარიჟელი ცხადად მოქმედობს როგორც მოცილე და მტერი რესპუბლიკისა. ცოტადაც არის რომ

მოსამსახურეებს. წამ-და-უწუმ დაუძახებდა და ჰკითხავდა:

— იცით მე ვინა ვარო?

— კოროლი, თქვენო დიდებულებავ!

— ჰო, იცოდეთო, ეტყოდა და გაიღიმებდა. ეს სიამოვნებაც დიდი ხანი არ გაჰყვა საბრალო კოროლსა. როდესაც თავის ძმის უბედური სიკვდილი შეიტყო, ჩაფიქრდა და ისე შეშინდა, რომ, როდესაც რომელიმე მინისტრი შემოვიდოდა ხოლმე მასთან, ოთახის კუთხეში იმალებოდა და გამოსვლას ვერა ჰბედავდა.

ასეთია ბავარიის ახალი გვირგვინოსანი მეფე, რომლის მაგიერ ამის გამო სახელმწიფო საქმეები სხვამ უნდა განაგოს! ოტტონს დედა ჰყავს, მაგრამ დედაც, ამბობენ, ჭკუაზე შეშლილიაო.—ასე უკულმა დატრიალებულა ბავარიის «სამეფო სახლის» ბედი!

რა ჰქმნან ბავარიელებმა, ვინ იგლოვონ: ცოცხალი, თუ მკვდარი?—მგონი,... პირველის კოროლის, ლუდვიგის სიკვდილზედაც ბავარიელები იცრემლებოდნენ და იძახდნენ: „Lieber Monalch“! ე. ი. „საყვარელო ხელმწიფეო“, მაგრამ ეს მწუხარებაც ჩქარა გულიდამ გადიყარეს.

⁂

აი თუ გლოვა სადმე ნამდვილ უბედურებად უნდა ჩაითვალოს, ეს სწორედ კორეაში. კორეა პატარა ქვეყანაა ჩინეთის ახლოს.

კორეის ქალაქებში ხშირად შეჰხვდება თურმე კაცი შემდეგს უცნაურს სანახავს. ქუჩაში რაღაცა უცნაურ ტანისამოსში ჩაცმული კაცი მოდის. ტანზე მსხვილი ტილოს თეთრი რაღაც ტომარა ჩამოუჯაჯავს. პირისახეზედაც ამავე ტილოსი თოფრაკიეით რაღაცა ჩამოუკიდნია. თავზე განიერი ყვითელი ქუდი აქვს ჩამოფხატული. ჰხედამ ამ მოძრავ საფთხუნეს და გაკვირვებული ჰკითხულობ: ეს რა ამბავია! ეს მგლოვიარე გახლავთ, მხოლოდ შავების მაგიერ, თეთრებით მოსილი. მარტო მდაბიო ხალხი რომ მისდევდეს ამ ჩვეულებას, კიდევ არაფერი, მაგრამ სასაცილო ის არის, რომ ამ გვარ სუდარაში მაღალის ხარისხის მქონებელიც შეეხვევა-ხოლმე.

გლოვა ხომ საზოგადოდ სამწუხაროა, და კორეიელებისთვის კი არამც თუ მარტო სამწუხარო, ნამდვილი უბედურება ყოფილა. საქმე იმაშია, რომ კორეიელებმა მეფის სიკვდილის გამო უნდა ერთი წელიწადი იგლოვონ და ახლო ნათესავზე კი სამი წელიწადი. აი ამ ახირებულს ჩვეულებას ხშირად რა მოსდევს ხოლმე. აქ მარტო ერთს მაგალითს გიამბობთ.

ერთმა მოხუცმა კორეიელმა შვილის დაქორწინება მოიწადინა. შვილმა თავის გულის საცოლო იშოვა და ქორწილის თადარიგსაც შეუდგნენ. მაგრამ აი უბედურება. სწორედ ჯვარის-წერის წინა დღეს სამეფოს სიმამრი გარდაეცვალა. მეტი ღონე არ არის, სამი წელიწადი შავები, ანუ უკეთ «თეთრები», უნდა ატაროს და სამი წელიწადი ჯვარის-წერას უცადოს... გავიდა როგორც იყო სამი წელიწადი და ახლა თითონ სასიძოს მოუკვდა მამა. ჯვარის წერა გადიდო კიდევ სამს წელს. მამას ზედ მოჰყვა დედა, ამის შემდეგ სიდედრი გარდაეცვალა, სიდედრს კიდევ ვიღაცა ახლო ნათესავი გაჰყვა თან. ამასობაში იმდენ ხანმა გაიარა, რომ სასიძო თითქმის დაბერდა და აღარც პატარძალი გახლდათ ახალგაზდა. ამასთან საცოლომ ავად-მყოფობაც დაიწყო და თავის ნათესავებს თან გაჰყვა. ამ გვარად საწყალმა კორეიელმა ძალაუნებურად სიცოცხლე უცოლობაში კი გაატარა.

აი კორეიელებს შეუძლიანთ სთქვან, რომ წმინდა გულითა ვგლოვობთო!

მოდი და წმინდა გულით ნუ იგლოვებ, როცა კაცმა თავის თავი უნდა იტიროს და არა გარდაცვალებული!

⁂

თუ გადაჭარბებული გლოვა უბედურებაა, გადაჭარბებული სალამიც ვარამია.

წარმოიდგინეთ, რომ ქუჩაში მისდიხართ და შემდეგს სანახავს წააწყდით. ორი კარგი ნაცნობი შეჰხვდნენ ერთმანეთს. ჯერ სალამი მისცა ერთმა მეორეს, მერე მოჰყვნენ და ისეთი ცხარე ლაპარაკი გაა ეს, რომ გგონიათ, ეს არის ჩხუბი მოუვათო. თურმე ნუ იტყვით კი, ესენი ერთმანეთს ეთავაზებიან და სალამს ეუბნებიან. თქვენ, რასაკვირველია, სისულელეთ ჩასთვლით ამ ნაირ სალამსა. იქნება ესეც იყოს, მაგრამ ზოგიერთ აფრიკელებს კი ამ გვარი სალამი ნამდვილ და ზრდილობიანობა სალამად მიაჩნიათ. აი ამის მაგალითი.

ორი ნაცნობი აფრიკელი ერთმანეთს შეჰხვდება, და ორივენი ერთად შეჰყვირებენ «ქერაბე»! ე. ი. გამარჯობაო! ვერ მოასწრობენ ამის თქმას, რომ მაშინვე ზედ მიაყოლებენ: როგორ არის შენი თავი, ცხვირი, თვალი, პირი და სხვა, ერთის სიტყვით ქოჩრიდამ დაწყობილი ფეხის თითებამდე სულ სათითაოდ ჩამოსთვლიან. ამაზე პასუხს მისცემენ თუ არა ერთმანეთს, მაშინვე ისევ განაგრძობენ: სხვა—მამა, დედა, ცოლი, შვილი როგორა გყავს; მინდვრებში რა გითესია, ისევ ისეთი ავი ძაღლები გყავს; ლორები დაგისუქდნენ თუ არა, და კიდევ ბევრს სხვა ამ გვარს საკითხავს პანტასავით მიაყრიან ერთმანეთს. გგონიათ, ამით სალამი გაათავეს? სრულიადაც არა. გამოჰკითხვენ ერთმანეთს კიდევ ცოტაოდენ შინაურს საქმეებს და მერე ისევ ერთად შეჰკივლებენ—„ქერაბე!“ და კიდევ ხელმეორედ სეტყვასავით დაუშენენ ერთმანეთს ისევ იმას, რაც პირველადა თქვეს. იქამდინ მოიკითხვენ, მანამ ერთმანეთს თავს მოაბეზრებენ. ბოლოს ასე გაცხარებული დაუწყებენ ერთმანეთს სიტყვების სროლას, რომ ჰფიქრობ, ეს არის, დაიმკლავებენ და ერთმანეთს თმაში წასწვდებიანო...

ღმერთმა ამისთანა სალამსაც მშვიდობა მისცეს!

დონ-იაგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმარჯვონ მონარქიელებმა, რესპუბლიკელებისათვის ძალიან საგრძნობელი იქნებაო. თუ გაიმარჯვა, მაშინ საბუთი ექნება სთქვასო, რომ საფრანგეთის ერი ჩემი მომხრეაო და მაშასადამე წინააღმდეგია ჩემის განდევნისაო. გრაფმა პარიჟელმა რომ ამ საქმეს მაგრა ჩაჭიდა ხელი და აღარა ხუმრობს, ამას ამტკიცებს იმის ნათქვამის უკანასკნელი სიტყვები. „მე მზადა ვარ,—უთხრა მან მონარქიელ-კათოლიკების ჟურნალ-გაზეთების დელეგატებს,—მაგრამ საფრანგეთმაც უნდა დაგვანახვოს, რომ ისიც მზად არის. თქვენზეა, ბატონებო, მთელი საქმე დანდობილი. თქვენ უნდა იმოქმედოთ თანხმად და არ გადაუდგეთ საარჩევნო კომიტეტებს. გაამხნევეთ ჩვენი კეთილის მსურველნი; ეცადენით დაიყოლიოთ ისინიც, ვინც ვერა ბედავენ ჩვენსკენ გადმოსვლას, ყველას აუხსენით, ყურში ჩააწვეთეთ, რომ არ შეიძლება დამყარდეს თავისუფლება, თუ არ დაფუძნდება ყოვლად-ძლიერი მართებლობაო.“ გრაფზე უფრო ნათლად და გარკვევით გამოსთქვა თავისი აზრი „დედოფალმა“,—ასე ეძახიან ეხლა მონარქისტები გრაფ პარიჟელის მეუღლეს. აი რა უთხრა იმავე დელეგატებს „მათმა უდიდებულესობამ“: „თქვენ დაგიდგათ ხანა მოქმედებისა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენის დაუცხრომელის შემწეობით და მეცადინეობით საფრანგეთში უფლება და სამართლიანობა გაიმარჯვებსო“. მართლაც მონარქიელებმა თან-და-თან ფეხი გამოიჩინეს. ამას წინად კასტანიოლში მერს უბძანებია ჩამოეგლიჯნათ კედლებიდამ გრაფის პარიჟელის მანიფესტი; მოცვივდნენ მონარქიელები დამბაჩებით და ემუქრებოდნენ, ვესვრით, ვინც ხელს ახლებს „გრაფის მანიფესტსაო“.

* * *

გერმანია. ივლისის 11-ს მარბურგში გავრცელდა უცნაური ხმა, რომელმაც ხალხი დააფიქრა: ვითომ რუსეთმა და საფრანგეთმა გერმანიას ომი გამოუცხადესო. ეს ხმა მთელს ქალაქს ელდასავით მოედო. რედაქციებს მოაწყდა აურებელი ბრბო ხალხისა, რომელსაც სურდა გაეგო ნამდვილი ამბავი, თავის თვალით წაეკითხა დეპეშა ვითომ და ომის გამოცხადებისა. რედაქციებმა რის ყოფით და ამბით დაარწმუნეს აღელვებული ხალხი, რომ ეს ხმა ტყუილად არის გავრცელებული მოცლილის ხალხისაგან, ან ბირჟის აგენტებისაგანაო.

ამ ახირებულის ხმის გავრცელება თვით ნემეცების გაზეთების ბრალიაო; მუდამ იმას ჰყვირიანო, რომ რუსეთმა და საფრანგეთმა გერმანიის წინააღმდეგ ზავი შეჰკრესო. ამ დღეებში პარიჟიდამ გამოგზავნილი კორრესპონდენცია იყო დაბეჭდილი ნემეცურს გაზეთ „Neue Freie Presse“-ში; კორრესპონდენტი ამბობს, რომ საფრანგეთსა და რუსეთს შორის დიდი სიყვარული და თანაგრძნობა ჩამოვარდაო. საფრანგეთს კიდეც წარუდგინეს წინადადება ზავის შეკვრისათვისაო. ამ ზღაპარს პოლიტიკურს წრეებში ყურადღება მიაქციეს და სურთ რამე მნიშვნელობა მიაწერონ. ზოგი გაზეთები უარს ჰყოფენ, რომ ეს ხმები ტყუილიაო; ზოგნი დაჟინებით გაიძახიან, რომ ნამდვილიაო. ერთის სიტყვით ამ ამბავს ნემეცური გაზეთები ჭკუიდამ გამოუყვანია და თითონაც არ იციან, რასა ლაპარაკობენ.

* * *

ავსტრო-ვენგრია. როგორც ამბობენ გაზეთები, ცისლეიტანიაში ძალიან დაემდურებიან სახალხო განათლების მინისტრს გაუჩსა. სამდურავი იქიდამ წარმომდგარა, რომ მინისტრს გაუჩს სწავლის ხარჯი მოუმატებია სასწავლებლებში შესვლისათვის. მანამ მინისტრი ჩეხიაში წავიდოდაო, განკარგულება სწავლის ხარჯის მომატებაზე იქ კიდეც მიეღოთო და ხალხი ძალიან აღელვებული იყოვო. ვერაფერი საქმე ჩაიდინა მინისტრმა, ამბობს ჩეხის გაზეთი „Hlas“; ამოდენა ხარჯის გადახდა მარტო მდიდარს ხალხს შეუძლიანო. ეს რეფორმები მცირე საქმეებიდამ დაიწყო მინისტრმა და უფრო საჭირო და საჩქარო საქმეები კი ხელ-უხლებლად დასტოვაო. რეფორმა თავის დანიშნულებას ვერ მიაღწევსო. აზრადა ჰქონდათ საშუალ სასწავლებლებში შაემცირებინათ რიცხვი მოსწავლეთა, რომ სამრეწველო და საკომერციო სასწავლებლებში შესულიყვნენო. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ მინისტრს ცენტრალიზაცია და განემეცება უნდაო.

უცხოეთელი გაზეთებიც ამბობენო, რომ მინისტრს გაუჩს მარკიზს ბაკვეკთან აქვს მოლაპარაკება აქაურის სკოლების განემეცებაზედაო. უეჭველია მინისტრი შესდგომია შარშმიდტის პროექტის განხორციელებასაო, რომელიც ამბობს: ნემეცური ენა არის სახელმწიფო ენაო.

ამ საგანზე უფრო ცხადად ლაპარაკობს გაზეთი „Politik“. ამ გაზეთს ჩამოთვლილი აქვს, როგორ მოექცა მინისტრი გაუჩი ჩეხების უნივერსიტეტს, საშუალო სასწავლებლებს და სხ. და სხ. ახალმა მინისტრმა ისიც მოგვისპო, რაც მისმა მოწინავემ დაადგინაო. „ჩვენ აქ ბევრის თქმა შეგვეძლოვო, ამბობს ბოლოს გაზეთი, მაგრამ ისიც საკმაო, რაც მოვიყვანეთ იმის დასამტკიცებლად, რომ მინისტრმა არ გაამართლა ჩვენი ნდობა და რწმენაო. ჩვენ ვითხოვთ სამართლიანობას და პირ-უთვნელობასაო: ცარიელი სიტყვები ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებენო. ჩვენ საქმეს ვითხოვთ, ხოლო იმისთანას კი არა, რომელზედაც ეხლა გვქონდა ლაპარაკიო. თუ მინისტრს უნდა, რომ მოიპოვოს ჩეხიის ერის ნდობა, ერისათვის იზრუნოსო.“

* * *

დეპეშა

11 ივლისს

პეტერბურგი. გუშინ ახალს პეტერგოფში მობრძანდა ჰერცოგინია ედინბურგისა რკინის გზის განსაკუთრებულ მატარებლითა.

პეტერბურგის განყოფილებამ სათავად-აზნაურო ბანკისამ გუშინ თავის მოქმედება დაიწყო.

გენერალს შანზის რომ ნუარში ძეგლი დაუდგეს, ამის გამო «Journal de St.-Pétersbourg»ი ამბობს: ჩვენ არ შევეხებოდით იმ ამბავს, რომ რუსეთის აგენტი ამ ცერემონიაზე დასწრებია, თუ რომ საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობას სულ სხვა გვარად არ განემარტა ეს ამბავი. რუსეთის აგენტის დასწრებას აქ სხვა მნიშვნელობა არა აქვს რა გარდა იმისა, რომ გენერალ შანზის სახელს პატივით იხსენიებენ რუსეთში. მეტი იქნება ვსთქვათ, რომ დიდის იმპერიის პოლიტიკა ამისთანა უბრალო ამბებზე იყოს დამოკიდებული.

უფა. მოსავალს როგორც ანეულისას ისე ახალ თესლისას კარგი პირი უჩანს.

„ივერიის“ ფოსტა

ვ—ლ ა—ს. „თქვენი ნატვრა“ არ დაიბეჭდება. მაგ თქვენს ლექსს ის აკლია, რასაც „ზეგარდმო მადლს ეძახიან: მეტის მეტად უმარილოა.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წლისა. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივლისი 31 დღით არის.

12 დღე შაბათი. წმ. მოწ. იოანესი, ევთიმესი და გაბრიელისა; ფრანგ. იოანნე, გვალბერტტასა, ფელიქსისა და გილიარისა. სომეხ. 12 მოციქულ. და წმ. პავლე მოციქულ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—14; ტფილისში მზე ამოდის 4—46, ჩადის 7—26; მთვარე ამოდის 11—59, ჩადის 12—13.

13 დღე კვირა. კრება გაბრ. მთავარანგელოზისა;—ფრანგ. მოწ. მალგორჯატისა და ანაკლეტასი. სომეხ. ალების-ღამე გარდავარის (ფერის-ცვალების) მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—15; ტფილისში მზე ამოდის 4-47, ჩადის 7—25; მთვარე ამოდის 12 საათ. ჩადის 1—12.

14 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. აკილასი, ონისიმესი და სტეფანესი. ფრანგ. ეპ. ბონავენტურისა და ქალწ. იუსტიანესი. სომეხ. 1 დღე ფერის-ცვალების მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—15. ტფილისში მზე ამოდის 4—43, ჩადის 7—24. მთვარე ამოდის 12—35, ჩადის 2—15.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. .	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½
» » 2 »	2 »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ »
» » 2—	3 »
» » 3 »	2½ »
ჯვარის მამის პურის ღვაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ »
მე-2 ხარისხისა . .	3¹/ »
მე-3 — . . .	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 »
« » 2	6 »
სუკი	14 »
ცხვრის ხორცი . . .	7 »

* * *

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მიდის საათ.	მიდის წამ.	გადის საათ.	გადის წამ.
	დილით			
ტფილისი .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55
მცხეთა. . .	9	13	9	21
ქსანი . . .	9	39	9	41
კასპი. . . .	10	6	10	9
გრაკალი . .	10	29	10	31
გორი . . .	10	54	11	4
ქარელი . .	11	33	11	36
გომი . . .	12	—	12	4
ხაშური . .	12	21	12	41
სურამი . .	12	53	12	56
ფონი . . .	1	24	1	27
ბეჟათუბანი.	2	14	2	34
მარელისი .	3	3	3	5
ბელაგორი .	3	32	3	35
ძირულა . .	4	2	4	5
ყვირილა. .	4	43	4	58
აჯამეთი . .	5	35	5	37
	საღამოთი			
რიონი. . .	5	49	6	4
კოპიტნარი .	6	34	6	36
სამტრედია .	6	56	7	16
საჯავახო. .	7	31	7	33
ნიგოითი. .	7	56	7	59
ლანჩხუთი .	8	10	8	14
სუფსა . . .	8	47	8	55
ნატანები. .	9	19	9	22
ქობულეთი.	9	48	9	51
ბათუმი . .	10	41	—	—

სტანციები	მიდის საათ.	მიდის წამ.	გადის საათ.	გადის წამ.
	დილით			
ბათუმი . .	—	—	8	35
ქობულეთი.	9	25	9	28
ნატანები. .	9	54	9	57
სუფსა . .	10	21	10	27
ლანჩხუთი	11	—	11	3
ნიგოითი. .	11	14	11	16
საჯავახო. .	11	39	11	41
სამტრედია	11	56	12	15
კოპიტნარი.	12	35	12	37
რიონი . . .	1	7	1	20
აჯამეთი . .	1	32	1	34
ყვირილა .	2	11	2	26
ძირულა . .	3	4	3	6
ბელაგორი .	3	33	3	36
მარელისი .	4	3	4	5
ბეჟათუბანი	4	34	4	54
ფონი . . .	5	41	5	44
	საღამოთი			
სურამი. . .	6	12	6	15
ხაშური . .	6	27	6	42
გომი . . .	6	59	7	3
ქარელი . .	7	27	7	30
გორი . . .	7	59	8	9
გრაკალი . .	8	32	8	34
კასპი. . . .	8	54	8	57
ქსანი . . .	9	22	9	24
მცხეთა . .	9	42	9	48
ავჭალა. . .	10	6	10	8
ტფილისი .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით			
ტფილისი .	—	—	3	15
ავჭალა . .	3	38	3	41
მცხეთა. . .	4	6	4	16
ქსანი . . .	4	42	4	45
კასპი . . .	5	20	5	25
გრაკალი . .	5	53	5	56
	საღამოთი			
გორი . . .	6	28	6	43
ქარელი . .	7	24	7	29
გომი . . .	8	3	8	7
ხაშური . .	8	31	8	46
სურამი . .	8	58	—	—

	ღამით			
სურამი. . .	—	—	2	35
ხაშური . .	2	47	3	2
გომი . . .	3	26	3	31
ქარელი . .	4	5	4	12
გორი . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	40	5	45
	დილით			
კასპი . . .	6	13	6	19
ქსანი . . .	6	54	6	57
მცხეთა . .	7	23	7	33
ავჭალა . .	7	58	8	1
ტფილისი .	8	24		

განცხადებანი

ქალაქის საქალებო პროფესიონალური სახელოსნო საყოველთაოდ აცხადებს, რომ

1) ვისაც სახელოსნოში შესვლა ჰსურს, თხოვნა უნდა შემოიტანონ 10—25 აგვისტომდე ამა 1886 წლისა, ყოველ დღე დილის 9 საათიდამ 12—მდე (კვირა-უქმე დღეების გარდა).

2) თხოვნა უნდა დაიწეროს და მიერთვას სახელოსნოს დირექტორ ქალს, რომელიც სცხოვრობს სახელოსნოში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, ფედორენკოს სახლში.

3) თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მოწმობა მეტრიკისა, ყვავილის აცრისა და პირველ-დაწყებითის სკოლის კურსის ცოდნისა.

4) ვისაც სახელოსნოში შემოსვლა უნდა, 14 წლისაზე ნაკლები არ უნდა იყოს. (3—2)

ისყიდება მოსე ჯანაშვილის მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი 45 კაპ.

მერცხალი

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. **ქუთაისში:** ჭილაძის მაღაზიაში. **თელავში:** ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში:** ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში:** ა. ქარსიძესთან; **ფოთში:** ხუმარაძესთან. **ყვირილაში** ბლად. დამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ[illegible] შაურად.

(10—8)

Дозволено цензурою Тифлисъ 11 іюля, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.